საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, განსახილველად წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას, რომლითაც გთავაზობთ საქართველოს პარლამენტმა მიიღოს ხელოვანთა სტატუსის შესახებ საქართველოს კანონი.

საკანონმდებლო წინადადება წარმოდგენილია კანონპროექტის სახით, მას თან ახლავს გამომდინარე კანონპროექტები და განმარტებითი ბარათები, სადაც დეტალურად არის დასაბუთებული და განმარტებული ზემოაღნიშნული კანონის პროექტების მიღების საჭიროება.

პატივისცემით,

ვალერიან გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდული კავშირის დირექტორი

ნინო გუნია-კუზნეცოვა

<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი ხელოვანთა სტატუსის შესახებ

საქართველოს კანონი „ხელოვანთა სტატუსის შესახებ“ ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს კანონს „კულტურის შესახებ“, კულტურის სფეროს სამართლებრივი რეგულირების საერთაშორისო გამოცდილებას, იუნესკოს 1980 წლის რეკომენდაციებს, იუნესკოს პარიზის 2005 წლის „კონვენციას კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვის და ხელშეწყობის შესახებ,“ ითვალისწინებს ქართული ეროვნული კულტურის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს, ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და საერთაშორისო თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურის გლობალურ საზოგადოებრივ სიკეთეს.

მუხლი 1 კანონის მიზანი:

კულტურული და შემოქმედებითი სექტორების მნიშვნელობიდან გამომდინარე კანონი მიზნად ისახავს ხელოვანთა და კულტურის მუშაკთა:

ა) ფინანსური, საგადასახადო და სოციალური სტატუსის განსაზღვრას;

ბ) უფლებებისა და თავისუფლებების სამართლებრივ დაცვას;

გ) პროფესიული ზრდისა და განვითარებისთვის სამართლებრივი ბაზის შექმნას;

დ) შიდა საერთო პროდუქტის ფორმირებაში წვლილის განუხრელ ზრდას და შრომის ბაზრის სტაბილურობის განმტკიცებას;

ე) შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის გაუმჯობესებას;

ვ) ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებას;

ზ) მორალური, ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფას და თითოეულის კეთილდღეობაზე განუხრელად ზრუნვას;

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ხელოვნება - ადამიანის შემოქმედებით აქტივობათა ფართო ცნება, რომელიც გულისხმობს ლიტერატურული, მუსიკალური, თეატრალური, ვიზუალური, ვიდეო-აუდიო ან ნებისმიერი სხვა გამომსახველობითი საშუალებებითა და მექანიზმებით ნამუშევრების შექმნას, ავტორის

მიერ წარმოსახვის უნარით ან ტექნიკური ნიჭის მეშვეობით გადმოცემას, რომლის მიზანია მშვენიერების ან ემოციური განცდის შეფასება. ხელოვნება ზედმიწევნით განზოგადებული ფორმით გულისხმობს: ხელოვნების ნიმუშების შექმნას, ხელოვნების კრიტიკას, ხელოვნების ისტორიის შესწავლას, ხელოვნების ესთეტიკის ფორმირებას, ხელოვნების გავრცელებასა და აღქმას.

ბ) ხელოვანი - ფიზიკური პირი, შემოქმედებითი მუშაკი, რომელიც ხელოვნების რომელიმე დარგში მოღვაწეობს, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების ცხოვრებისა და ევოლუციის პროცესში, შემოქმედებითი საქმიანობით იღებს ახალ, სოციალურად მნიშვნელოვან შედეგებს, მონაწილეობს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოების შექმნასა და ინტერპრეტაციაში; ნებისმიერი პირი, რომელიც ქმნის, შემოქმედებითად ასახავს, ან/და ხელახლა ქმნის ხელოვნების ნიმუშს და მიიჩნევს, რომ მისი როგორც ხელოვანის საქმიანობა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, თავისი შემოქმედებით ხელს უწყობს ხელოვნების და კულტურის განვითარებას და მიუხედევად იმისა, დასაქმებულია თუ არ არის დასაქმებული ხელოვნების ან კულტურის რომელიმე სფეროში, ან არის თუ არა რომელიმე პროფესიული გაერთიანების წევრი აღიარებულია ხელოვნების მუშაკად.
ხელოვანი შეიძლება იყოს დასაქმებული ან თვითდასაქმებული.

გ) ხელოვანის სტატუსი - შემოქმედებითი ან/და კულტურის მუშაკის საქმიანობის სოციალური მნიშვნელობიდან, მუშაობის მანერის უნიკალურობიდან გამომდინარე, საზოგადოების მდგრადი განვითარებისთვის ხელოვანისა და კულტურის მუშაკის საქმიანობის როლის, ასევე, უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის მორალური, ეკონომიკური, სოციალური უფლებების აღიარება, შემოსავლებისა და სოციალური დაცვის საკითხებზე აქცენტირებით.

დ) დასაქმებული ხელოვანი - ფიზიკური პირი, რომელიც კალენდარული წლის განმავლობაში ძირითადი ერთობლივი შემოსავლის 50%-ზე მეტს პროფესიული სახელოვნებო საქმიანობიდან იღებს. შემოქმედებით საქმიანობას ახორციელებს პროფესიულ დონეზე, საჯაროდ წარმოადგენს ასეთ ნაწარმოებს საჯარო სივრცეში, პუბლიკაციების სახით, სცენური და საკონცერტო შესრულებით, კინო-ტელე-ვიდეო ნამუშევრის და სხვა ნებისმიერი ფორმით. ხელოვანის პროფესიონალიზმი დასტურდება ანაზღაურებადი სახელოვნებო პროფესიული საქმიანობით, რაც შესაძლოა არ შეესაბამებოდეს დიპლომით აღიარებულ პროფესიასა თუ სპეციალობას. პროფესიონალ ხელოვანად ვერ ჩაითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ასრულებს მხოლოდ ტექნიკურ და საორგანიზაციო ხასიათის სამუშაოს ანდა მატერიალურად ეხმარება ფიზიკურ პირს კულტურული ფასეულობის შექმნასა და ინტერპრეტაციაში.

ე) თვითდასაქმებული ხელოვანი (ფრილანსერი) - შემოქმედებითი და კულტურის სფეროს პროფესიონალი ფიზიკური პირი, რომელიც მუშაობს დამოუკიდებლად და კალენდარული

წლის განმავლობაში ძირითადი ერთობლივი შემოსავლის 50 % -ზე მეტს პროფესიული სახელოვნებო საქმიანობიდან იღებს.

ვ) კულტურის მუშაკი - ამ კანონის მიზნებისთვის კულტურის მუშაკად ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც კულტურის სფეროში ახორციელებს დამხმარე ან/და მხარდამჭერ საქმიანობას.

ზ) კულტურული აქტივობა - სოციალურ-კულტურული აქტივობა წარმოადგენს პიროვნების ინტეგრალურ თვისებას, რომელიც მის ცხოვრებისეულ პოზიციას გამოხატავს და ასახვას ჰპოვებს მორალურად მოტივირებულ სწრაფვასა და მზაობაში მონაწილეობა მიიღოს და გამოიჩინოს ინიციატივა ფასეულობათა ათვისებასთან და შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებულ სფეროებში. ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოების შექმნა, ათვისება, შენახვა და განვითარება, რომელიც დაცულია ან/და სავარაუდოდ დაცული იქნება საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებებით.

თ) კულტურული საქმიანობა, საქონელი და მომსახურება - საქმიანობა, საქონელი და მომსახურება, რომელიც განიხილება როგორც კონკრეტული მოხმარება ან მიზანი, განასახიერებს ან/და ატარებს კულტურული თვითგამოხატვის ნიშნებს, მიუხედავად კომერციული ღირებულებისა. კულტურული საქმიანობა შეიძლება წარმოადგენდეს თვითმიზანს ან/და ხელს უწყობდეს კულტურული საქონლის წარმოებას ან ახორციელებდეს მომსახურებას.

ი) კულტურის ინდუსტრია - სფერო, რომელიც აწარმოებს კულტურული საქმიანობით მიღებულ საქონელს და ემსახურება მის გავრცელებას;

კ) პროფესიული სახელოვნებო საქმიანობა -კულტურული აქტივობის შემოქმედებითი სფერო, რომელიც მიმართულია საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოების შექმნასა და ინტერპრეტაციაზე; მოიცავს პროფესიულ ცოდნასა და უნარებზე დაფუძნებული ქმნადობის აქტს, შემოქმედებითად გამოსახვას, ან/და ხელახლა ქმნის ხელოვნების ნიმუშს და გააჩნია ეკონომიკურად ეკვივალენტური/საბაზრო ღირებულება.

მუხლი 3. ხელოვანის სტატუსის მინიჭება

1.ხელოვანის სტატუსის მიღების მსურველი ფიზიკური პირი, უფლებამოსილია წარადგინოს განცხადება შემოსავლების სამსახურში და მოითხოვოს სტატუსის მინიჭება.

2.ხელოვანის სტატუსის მიღების მსურველმა ფიზიკურმა პირმა ხელოვანის სტატუსის მიღების შესახებ განცხადებას, თან უნდა დაურთოს ფისკალური დოკუმენტაცია, რომლითაც დადასტურდება შესაბამისობა სტატუსის მინიჭების პირობებთან, კერძოდ:

ა) ფიზიკური პირის მიერ *ხელოვანის* სტატუსის მისაღებად, რეგისტრაციის მოთხოვნის მომენტისთვის, კულტურული საქმიანობიდან ანდა **პროფესიული სახელოვნებო საქმიანობიდან**, წინა კალენდარულ წელს მიღებული უნდა ჰქონდეს ერთობლივი, დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლის 50%-ზე მეტი, კერძოდ:

1) შემოსავალი, რომელიც გამომდინარეობს საავტორო და მომიჯნავე უფლებებიდან და პროფესიული სახელოვნებო საქმიანობიდან და კულტურული აქტივობიდან;
2) ინდივიდუალური ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები, კულტურულ საქმიანობაში **პროფესიულ სახელოვნებო** საქმიანობასა და კულტურის სფეროში.
3) რეგისტრაციის შესახებ განცხადებასთან ერთად განმცხადებელს ეკისრება ვალდებულება საკუთარი პასუხისმგებლობით წარადგინოს დეკლარაცია პირობების დაცვის შესახებ.
4) აპლიკანტი წელიწადში ერთხელ წარადგენს კულტურული ანდა **პროფესიული სახელოვნებო** საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 50%-ის ზემოთ მიღებული შემოსავლის დამადასტურებელ ფისკალურ დოკუმენტებს.
5) აპლიკანტი ასევე წარადგენს შემოსავლების ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულ წინა კალენდარულ წლის შემოსავლის დამადასტურებელ ფინანსურ დოკუმენტს, წინა კალენდარულ წელს წარდგენილ ბოლო ერთჯერადი შემოსავლის დეკლარაციას და, საქმიანობის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ დოკუმენტს.
6) განცხადება წარდგენილ უნდა იყოს ფიზიკური ან ელექტრონული ფორმით შემოსავლების სამსახურში, ხოლო სტატუსი დამტკიცდება ან უარყოფილი იქნება განცხადების წარდგენიდან 30 დღის ვადაში.
3. სტატუსის მატარებელს, რომელიც დადგენილ ვადაში არ წარადგენს დეკლარაციას პირობების დაცვის შესახებ, შეუჩერდება ხელოვანის სტატუსი. შეჩერების აღმოფხვრის დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში, განმცხადებელს აღუდგება ხელოვანის სტატუსი.

მუხლი 4. რეგისტრაციის პირობები

1. ხელოვანის სტატუსი ძალაშია რეგისტრაციიდან 3 კალენდარული წლის განმავლობაში.

2. ხელოვანის სტატუსის რეგისტრაციის შემდეგ, ხელოვანი ვალდებულია სარეგისტრაციო ორგანოს წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს პირველი ოქტომბრისა, წარუდგინოს დეკლარაცია შემოსავლების 50%-იანი ზღვრის მიღწევის თაობაზე.

3. 3 კალენდარული წლის ვადის ბოლოს, პირველ ოქტომბრამდე ფიზიკურ პირს შეუძლია მოითხოვოს ხელახალი რეგისტრაცია იმ პირობით, რომ ამ ვადაში მიღწეული დასაბეგრი შემოსავლის არანაკლებ 50% მოდის განხორციელებულ კულტურულ აქტივობაზე და პროფესიულ სახელოვნებო საქმიანობაზე.

4. ხელოვანის სტატუსის მიღება და შესაბამისი რეგისტრაცია ნებაყოფლობითია და არ გამორიცხავს სხვა საგადასახადო რეჟიმითა და სტატუსით სარგებლობას.

მუხლი 5. სტატუსის მატარებლის შეღავათები

1. ამ კანონის მიზნებისთვის, თვითდასაქმებული ხელოვანის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირზე ვრცელდება საგადასახადო კოდექსის 83-ე მუხლის „დ“ პუნქტით გათვალისწინებული სპეციალური დაბეგვრის რეჟიმი.

2. ამ კანონის პირობების დაცვით განხორციელებული კულტურული და სახელოვნებო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლიდან არ დაიბეგრება ერთობლივი შემოსავლის 40%.

3. ხელოვანის სტატუსის მატარებელი პირის მიერ განხორციელებული კულტურული და სახელოვნებო შრომით მიღებული ანაზღაურებადი საქმიანობა, არ ჩაითვლება სახელმწიფო პენსიის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საჯარო საქმიანობად.

4. ხელოვანის სტატუსის მატარებელი პირის შრომის პირობების დარეგულირების/ გაუმჯობესების/დაცვისა და პრემირების სისტემის დანერგვის უზრუნველსაყოფად შესაბამისი პროფკავშირებისა და პროფესიული გაერთიანებებისთვის იქმნება სპეციალური მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამები, რაც, ასევე, ხელს უწყობს ამ პირების გაძლიერებას და გააქტიურებას.

მუხლი 6. ხელოვანთა და კულტურის მუშაკთა პროფესიული განვითარება

1. კულტურის მუშაკებისა და ხელოვანთა პროფესიული კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, იქმნება პროფესიული განვითარების, სემინარების და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად, ინფლაციის გათვალისწინებით.

2. სახელმწიფო ორგანოებს აქვთ ვალდებულება, საკუთარ წლიურ ბიუჯეტში ცალკე მუხლად შეიტანონ ადგილობრივი მხარდაჭერის პროგრამების ანაზღაურებადი დაფინანსების გასაცემი სახსრები.

მუხლი 7. ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

1. შემოქმედებითი და კულტურული საქმიანობის წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ სათანადო სივრცის გამოყოფას, ხელოვანის სტატუსის მატარებელი პირებისთვის თავიანთი საქმიანობის განსახორციელებლად.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული მიზნის მისაღწევად, სახელმწიფო ორგანოები, მათ გამგებლობაში არსებულ კულტურის სახლებს, კინოთეატრებს და კულტურული დანიშნულების ობიექტებს, ასევე, უფუნქციო შენობა-ნაგებობებს, გამოიყენებენ ამ კანონის მიზნების მისაღწევად, მათ შორის: სამუშაო და საგამოფენო სივრცეების შესაქმნელად და კულტურული და სახელოვნებო საქმიანობის ხელშესაწყობად.
3. პირველ პუნქტში მითითებული მიზნის მისაღწევად, შესაბამისი დარგობრივი სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს შესაბამისი სივრცის მოწყობას, **კომუნალური გადასახადების გადახდას** და ადმინისტრირებას.

მუხლი 8. სოციალური უფლებები

1. ხელოვანთა და კულტურის მუშაკთა სოციალურ უფლებებს იცავს სახელმწიფო. იგი უზრუნველყოფს:

   ა) ჯანმრთელობის დაზღვევით;

   ბ) სამედიცინო შვებულებისა და შემწეობის უფლებით დროებითი შრომისუუნარობის პერიოდში, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს რაიმე დაავადებით ან სამუშაოს გარეთ მომხდარი უბედური შემთხვევით;

   გ) სამედიცინო შვებულებისა და მშობიარობის შემწეობით;

   დ) სამედიცინო შვებულებითა და შემწეობით ავადმყოფი ბავშვის ან/და მშობლის

   მოსავლელად;

   ე) სამედიცინო შვებულებისა და დეკრეტული რისკის შემწეობით.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს ხელოვანთა და კულტურის მუშაკთა პროფესიული დაავადებების გამოვლენას და პრევენციას.
3. ხელოვანთა და კულტურის მუშაკთა პროფესიული დაავადებებისგან ჯანმრთელობის დაზღვევის სუბსიდირების მიზნით, იქმნება სპეციალური სახელმწიფო პროგრამები.

მუხლი 9. ხელოვანთა და კულტურის მუშაკთა უფლებები და თავისუფლებები

ხელოვანებს და კულტურის მუშაკებს აქვთ შემდეგი უფლებები და თავისუფლებები:

ა) შემოქმედებითი და კულტურული თვითგამოხატვის თავისუფლება

ბ) კოლექტიური და ინდივიდუალური მოლაპარაკების უფლება;

გ) კოლექტიურ პროფესიულ და სამოქალაქო აქციებში მონაწილეობის უფლება;

დ) პროფესიული ასოციაციის შექმნის ან მასში გაწევრიანების უფლება;

ე) კონსულტაციის ან ინფორმაციის გაცვლის უფლება.

ვ) შვებულობით სარგებლობის უფლება;

ზ) დეკრეტული შვებულებით სარგებლობის უფლება;

თ) უპირატესი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისგან დაცვის უფლება;

ე) ყველა სხვა კანონითა და საერთაშორისო კონვენციით მინიჭებული უფლებები.

მუხლი 10. შრომითი უფლებები

1. ამ კანონის მიზენებისთვის, თვითდასაქმებული ხელოვანი, რომელსაც აქვს ოფიციალური სარეგისტრაციო ორგანოს მიერ მინიჭებული ხელოვანის სტატუსი, ჩაითვლება თვითდასაქმებულ პირად და უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს.

2. თვითდასაქმებული ხელოვანის სტატუსის მატარებელი პირები სარგებლობენ საქართველოს ორგანული კანონით, შრომის კოდექსით გათვალისწინებული უფლებებით.

3. ხელოვანთა და კულტურის მუშაკების მინიმალური ხელფასი არ უნდა იყოს საარსებო მინიმუმის სამმაგ ოდენობაზე ნაკლები.

4. დროებით დაუსაქმებელი ხელოვანი, რომელიც, სულ მცირე, 12 თვის განმავლობაში ახორციელებდა ფონდში შენატანების გადახდას, უფლებამოსილია ისარგებლოს უმუშევარ ხელოვანთა მხარდაჭერის სოციალური დახმარებით.

მუხლი 11. კულტურის და ხელოვნების სფეროს განვითარება

1. ხელოვანთა სტატუსის განმტკიცების მიზნით, სახელმწიფო ზრუნავს კულტურის და ხელოვნების სფეროს განვითარებაზე. ამ მიზნით, შესაბამისმა უწყებებმა უნდა გადადგან შემდეგი ნაბიჯები:
   ა) შეიმუშაონ და დაამტკიცონ კვლევაზე დაფუძნებული კულტურის განვითარების სტრატეგია 2025 -2035 წლებისთვის, რომელშიც ასახული იქნება ამ კანონის პრინციპები;
   ბ) შეიმუშაონ და დაამტკიცონ ხელოვნების დარგობრივი სტრატეგიები და სახელმწიფო დაფინანსების პროგრამები.
2. სახელმწიფო კულტურის ფინანსური წყაროების დივერსიფიცირებას, მისი გაძლიერების მიზნით, ხელს უწყობს:
   ა) კულტურის ახალი დარგების, თანამედროვე ხელოვნების, ასევე, ახალი მედია და ციფრული ხელოვნების შესწავლას, განვითარებას, გავრცელებას;
   ბ)არსებულ პროფესიებში, ახალი ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებას და ინტეგრირებას, თანამედროვე მეთოდოლოგიით შესწავლას, განვითარებას და გავრცელებას;
3. შესაბამისი დარგობრივი პროგრამებით მივიწყებული/ტრადიციული პროფესიების აღდგენას, შესწავლას, განვითარებას, გავრცელებას და მხარს უჭერს ამ პროფესიებში მოღვაწე ხელოვანებს.

მუხლი 12. კულტურისა და ხელოვნების მხარდაჭერის ფონდი

1. კულტურისა და ხელოვანთა ხელშემწყობი პროექტების, კულტურული და სახელოვნებო საქმიანობის, ხელოვანთა და კულტურის მუშაკთა სოციალური და ჯანდაცვის მხარდაჭერის, კულტურის დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირების მიზნით იქმნება კულტურისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის ფონდი.

2. კულტურისა და ხელოვნების მხარდაჭერის ფონდის მართვისა და ორგანიზაციის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

3. კულტურისა და ხელოვნების მხარდაჭერის ფონდის შემოსავლის წყაროებია:

ა) საქართველოს მთავრობის შენატანები;

ბ) კერძო კაპიტალის შემოწირულობები ფიზიკური ან მეწარმე იურიდიული პირებისგან;

გ) საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული დაფინანსება;

დ) სხვა წყაროები.

მუხლი 13. კულტურისა და ხელოვნების მხარდაჭერის ფონდის ამოცანები

კულტურისა და ხელოვნების მხარდაჭერის ფონდი გამოყენებული იქნება შემდეგი პროექტებისა და აქტივობების მხარდასაჭერად:

1. კულტურისა და ხელოვნების პროდუქტის შექმნა, გავრცელება და განვითარება;

2. კულტურისა და ხელოვნების პროდუქტების გაცვლა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე მაცხოვრებელ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებელ მოსახლეობას შორის;

3. კულტურისა და ხელოვნების საერთაშორისო გაცვლა და კულტურული მობილობის ხელშეწყობა;

4. ხელოვანთა და კულტურის მუშაკთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა და ამ მიზნით შესაბამისი ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამების დაფინანსება.

მუხლი 14. გარდამავალი დებულებები

1. საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ 2025 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოს:

ა)კვლევაზე დაფუძნებული კულტურის განვითარების სტრატეგიის დამტკიცება 2025 -2035 წლებისთვის;

ბ) დარგობრივი ქვესტრატეგიების და სახელმწიფო დაფინანსების დარგობრივი პროგრამების დამტკიცება.

2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ 2026 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოს _____ დამტკიცება.

3. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანოებმა 2026 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყონ _____ დამტკიცება.

4. საქართველოს მთავრობამ 2026 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოს, კულტურისა და ხელოვნების მუშაკთა მხარდამჭერი ფონდის შექმნა და ფონდის ორგანიზაციული მართვის წესდების შემუშავება.

მუხლი 15. კანონის ამოქმედების ვადა:

ეს კანონი ამოქმედდეს 2026 წლის პირველი იანვრიდან

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს ხელოვანთა სტატუსის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტი განსაზღვრავს ხელოვანთა სტატუსს და ადგენს სამართლებრივი რეგულაციების მექანიზმებს, რომლებიც მიმართულია პროფესიონალ და თვითდასაქმებულ ხელოვანთა (ფრილანსერების) საქმიანობის გაუმჯობესებისკენ. კანონი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და განვითარებას, ხელოვანთა და კულტურის მუშაკთა უფლებებისა და თავისუფლებების სამართლებრივ დაცვას; ქვეყნის შიდა საერთო პროდუქტის ფორმირებაში ხელოვანთა და კულტურის მუშაკთა წვლილის განუხრელად ზრდას; შრომის ბაზრის სტაბილურობის განმტკიცების პროცესში გააქტიურებს ხელოვნებისა და კულტურის მუშაკთა მონაწილეობას.

კანონის მიღების აუცილებლობა განპირობებულია ევროკავშირის კანდიდატის სტატუსით და მიმართულია ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მიღებისკენ. მსგავსი კანონმდებლობა და ხელოვანთა სტატუსის განსაზღვრით სამართლებრივი რეგულირების პრაქტიკა არსებობს ევროკავშირის განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა: ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, გერმანია, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი და სხვ.

კანონპროექტის მიღების აუცილებლობა განპირობებულია ევროკავშირის იუნესკოს 1980 წლის 27 ოქტომბრის რეკომენდაციებით: „შემოქმედებით მუშაკთა მდგომარეობის შესახებ“ და იუნესკოს პარიზის 2005 წლის კონვენციით: „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვის და ხელშეწყობის შესახებ“, რომლის რატიფიცირება საქართველომ მოახდინა 2008 წელს.

ამრიგად, წარმოდგენილი კანონპროექტი განმარტავს ხელოვანთა სტატუსის ცნებას და ადგენს კულტურის პოლიტიკის ფარგლებში, კონკრეტული გარემოებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ხელოვანთა და კულტურის მუშაკთა მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართულ ზომებს.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემების გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

„ა.ა.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული საკითი, მისი მიზნიდან და არსიდან გამომდინარე, მოითხოვს სპეციალური კანონის მიღებას.

ა.ბ.) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად მოწესრიგდება ა.ა.ა. ქვეპუნქტში აღნიშნული საკითხი.

ა.გ.) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით წესრიგდება შემდეგი ძირითადი საკითხები:

- განისაზღვრება ხელოვანთა სტატუსი;
- განიმარტება პროფესიონალ და თავისუფალ ხელოვანთა ცნებები;
- ხელოვანის სტატუსის მინიჭების ფორმა და რეგისტრაციის პირობები;
- განისაზღვრება სტატუსის მატარებლის შეღავათები;
- ხელოვანთა და კულტურის მუშაკთა პროფესიული განვითარების პირობები;
- ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა;
- სოციალური უფლებები;
- ხელოვანთა და კულტურის მუშაკთა უფლებები და თავისუფლებები;
- შრომითი უფლებები;
- კულტურის ინდუსტრიის ძირითადი მიმართულებები და მასში მონაწილე პირები;
- ხელოვნების და კულტურის მუშაკთა საქმიანობის მხარდამჭერი ორგანიზაციები:
- განისაზღვრება მხარდამჭერი ორგანიზაციების ამოცანები.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი საქართველოს მთავრობის მიერ არ არის ინიცირებული.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანოპროექტი ამოქმედდება 2026 წელს, რადგან კანონპროექტის ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, საჭიროა გარკვეული მოსამზადებელი პერიოდის არსებობა.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა და მიღება არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტით გათვალისწინებულია 2026 წლისთვის დამატებითი ხარჯების გამოყოფა. კანონპროექტიდან გამომდინარე, ხარჯები დაიფარება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და კანონპროექტით გათვალისწინებული ფონდებიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი გავლენას მოახდენს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მიზნობრივი პროექტების განხორციელებით და სხვა სახის აქტივობებით მიღებული შემოსავლებიდან.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის აღსრულებასთან დაკავშირებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის, რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილი მინიმუმადე იქნება დაყვანილი ფონდებისა და სხვადასხვა შემოწირულობათა მეშვეობით.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზეც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

ხელოვანთა და კულტურის მუშაკთა საქმიანობის უნიკალური სტილის გათვალისწინებით, კანონპროექტი ითვალისწინებს პროფესიონალ ხელოვანთა და თვითდასაქმებულთა სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარებას.

ბ.ვ)კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი ითვალისწინებს თვითდასაქმებულ ხელოვანთა ნებაყოფლობითი რეგისტრაციის პირობებში შემოქმედებითი საქმიანობიდან მინიმალურ შენატანს გადასახადის სახით. ოდენობა განსაზღვრულია კანონპროექტით.

ბ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი ითვალისწინებს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული არასრულწლოვანი ხელოვანებისთვის კანონქვემდებარე აქტით დახმარების სამართლებრივი დარეგულირების საკითხს.

ბ²) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი

ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. კანონპროექტის მომზადება დაკავშირებულია პარიზის 2005 წლის კონვენციის რატიფიცირებასთან და ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებასთან.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან.

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

კანონპროექტის მომზადების პროცესში სამუშაო ჯგუფი კონსულტაციებს იღებდა „იუნესკოს“ ექსპერტებისგან.

დ.ა.)სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტი შემუშავდა „იუნესკოს“ ექსპერტების მიერ გაწეული კონსულტაციების საფუძველზე.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთი არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ)სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროსი, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეტი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში;

კანონპროექტით წარმოდგენილი საკითხის სამართლებრივი მოწესრიგების მსგავსი სამართლებრივი რეგულირება და პრაქტიკა არსებობს ისეთ ქვეყნებში, როგორებიც არის, მაგალითად: რუმინეთი, საფრანგეთი, ნიდერლანდები, სლოვაკეთი...

კანონპროექტის ავტორი:

ვალერიან გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდული კავშირი (დირექტორი ნინო გუნია-კუზნეცოვა)

* პროექტი*

საქართველოს
კანონი

„სახელმწიფო პენსიის შესახებ "საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი *1.* „სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N56, 28.12.2005, მუხ. 390) მე-4 მუხლის "გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მე-4 მუხლის „გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"გ) საჯარო საქმიანობა – სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, ხელოვანთა სტატუსის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული საქმიანობა, სკოლა-პანსიონებისა, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, სკოლისგარეშე და სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა), განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. საჯარო საქმიანობად არ მიიჩნევა საუბნო საარჩევნო კომისიაში განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა და საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის მიერ განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. ისეთი შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც საჯარო საქმიანობას მიეკუთვნება, კომპეტენტურ ორგანოს შეთანხმებული ფორმატით აწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;".

მუხლი *2.* ეს კანონი ამოქმედდეს 2026 წლის პირველი იანვრიდან

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონის პროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:
ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

სახელმწიფო პენსიის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად - პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში. ამავე კანონის მე-4 მუხლის “გ” პუნქტში არის დადგენილი გამონაკლისები, თუ რა საქმიანობა არ ჩაითვლება საჯარო საქმიანობად. ვინაიდან ხელოვანთა შესახებ საქართველოს კანონის პროექტი ითვალისწინებს სახელმწიფო პენსიის უფლების გავრცელებას, მათ შორის სახელმწიფო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დასაქმებულ პირებზე, აუცილებელია ცვლილების განხორციელება პენსიის შესახებ კანონის მე-4 მუხლის “გ” პუნქტში.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღებით, საჯარო საქმიანობად აღარ ჩაითვლება ხელოვანთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული საქმიანობა, რაც საშუალებას მისცემს საპენსიო ასაკის, ამ კატეგორიაში მოხვედრილ პირებს ისარგებლონ სახელმწიფო პენსიის მიღების უფლებით.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის ძირითადი არსის მიხედვით, ხელახალი რედაქციით ყალიბდება კანონის მე-4 მუხლის „გ‘‘ ქვეპუნქტი, შედეგად, საჯარო საქმიანობიდან გამონაკლისს დაემატება ხელოვანთა სტატუსის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული საქმიანობა.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონი, ამოქმედდება 2026 წლის პირველ იანვარს მიზანშეწონილია იმ გარემოებით, რომ საქართველოს მთავრობას ესაჭიროება მოსამზადებელი პერიოდი, რათა შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებები განისაზღვროს და მომზადდეს შესაბამისი სამუშაოები, რაც გამოწვეული იქნება სახელმწიფო პენსიის მიმღებ პირთა წრის გაფართოებით.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას, ვინაიდან გაიზრდებ სახელმწიფო პენსიის მიმღებ პირთა წრე. ზემოაღნიშნული ხარჯების დაფინანსების წყარო იქნება სახელმწიფო ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი ზეგავლენას არ იქონიებს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს, ვინაიდან ცვლილების შედეგად გაიზრდება სახელმწიფო პენსიის მიმღებ პირთა წრე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო და საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტით არ დგინდება სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, ასევე კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებები (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები).

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტით დადებით ფინანსურ შედეგებს გამოიწვევს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება შესაბამის ბიუჯეტში შესატანი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელი (ფულადი შენატანი).

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან: გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ)კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს

წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
კანონპროექტის მომზადებაში მონაწილეობდა საკონსულტაციო ჯგუფი.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი: ვალერიან გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდული კავშირი (დირექტორი ნინო გუნია-კუზნეცოვა)

პროექტი

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N54, 12.10.2010, მუხ.343) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. 83-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 83. სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები

სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები ვრცელდება:

ა) მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებზე;

ბ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირებზე;

გ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირებზე.

დ) ხელოვანთა სტატუსის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ხელოვანზე"

2. 83-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 83[1] მუხლი

მუხლი 83[1] თვითდასაქმებული და დასაქმებული ხელოვანის სტატუსი

1. თვითდასაქმებული ხელოვანი არის შემოქმედებითი და კულტურის სფეროს პროფესიონალი ფიზიკური პირი, რომელიც კალენდარული წლის განმავლობაში ძირითადი ერთობლივი შემოსავლის 50 % -ზე მეტს პროფესიული სახელოვნებო საქმიანობიდან იღებს, შტატგარეშე თანამშრომელი, რომელიც მოღვაწეობს დამოუკიდებლად., არ არის დაქირავებული მუდმივი კონტრაქტის საფუძველზე, მუშაობს ერთჯერად პროექტებზე და არ აქვს გრძელვადიანი შრომითი ვალდებულება. თვითდასაქმებული ხელოვანი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც: არის პროფესიული საჯარო მოხელე ან საჯარო სამსახურში დასაქმებული ან დასაქმებული შრომითი ხელშეკრულებით.
2. თვითდასაქმებული ხელოვანის სტატუსი ძალაშია, სტატუსის მინიჭებიდან 3 კალენდარული წლის განმავლობაში.
3. თვითდასაქმებული ხელოვანის სტატუსის მატარებელი ფიზიკური პირი, ვალდებულია, ყოველწლიურად შემოსავლების სამსახურს, არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა წარუდგინოს დეკლარაცია, 50%-იანი ზღვრის მიღწევის თაობაზე.
4. თუ ხელოვანთა შესახებ საქართველოს კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, თვითდასაქმებული ხელოვანის სტატუსის მიმართ ვრცელდება, საგადასახადო კოდექსით დადგენილი მცირე ბიზნესის ადმინისტრირების წესები.

5. დასაქმებული ხელოვანის, ხელოვანთა შესახებ საქართველოს კანონის პირობების დაცვით განხორციელებული კულტურული და სახელოვნებო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლიდან არ დაიბეგრება ერთობლივი შემოსავლის 40%.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2026 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი *სალომე ზურაბიშვილი*

განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე
„საქართველოს საგადასახდო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონის პროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:
ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კანონპროექტის მომზადების აუცილებლობა განპირობებულია ხელოვანთა შესახებ საქართველოს კანონის მიღებით, რომლის თანახმადაც გათვალისწინებულია ახალი სახის საგადასახადო შეღავათების შემოღება ხელოვანთათვის.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღებით, ხელოვანთა სტატუსის შესახებ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებულ თვითდასაქმებულ და დასაქმებულ ხელოვანს გაუჩნდებათ საგადასახადო შეღავათები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით, გათვალისწინებულია ცვლილების განხორციელება საგადასახადო კოდექსის 83-ე მუხლში, სადაც სპეციალური დაბეგვრის რეჟიმებს დაემატება „ხელოვანთა სტატუსის შესახებ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კოდექსს 83-ე მუხლის შემდეგ დაემატება 83^1 მუხლი, რომლითაც განიმარტება სპეციალური დაბეგვრის ახალი რეჟიმის სახეობა და დეფინიცია.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონის ამოქმედება გათვალისწინებულია 2026 წლის პირველი იანვრისთვის, ვინაიდან ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს მთავრობას ესაჭიროება სპეციალური ღონისძიებების და ზომების მიღება მისი სწორი ადმინისტრირების უზრუნველყოფისთვის.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას, რამეთუ მოცემული კანონპროექტი ითვალისწინებს მხოლოდ დაფუძნების აქტის ცვლილებას და გავლენას არ ახდენს არც მისი დაფინანსების წყაროს, არც შიდა ორგანიზაციულ ცვლილებებზე.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი დადებითად იმოქმედებს საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან მოხდება პირთა წახალისება მიიღონ ახალი საგადასახადო სტატუსი, რითაც მოსალოდნელია საშემოსავლო ნაწილის გაზრდა.

გარდა ამისა, კანონპროექტი გავლენას იქონიებს საშემოსავლო ნაწილზე იმ კუთხითაც, რომ 40% იანი საშეღავათო პირობის დადგენა, გარკვეულ წილად შეამცირებს საბიუჯეტო შემოსულობებს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს, რამეთუ მოცემული კანონპროექტის მიზანია, მხოლოდ დაფუძნების აქტის დონის განსაზღვრა (ცვლილება), რაც ორგანიზაციულ-ტექნიკური ნაწილია და არ უკავშირდება დაფინანსების წყაროს, არც შიდა ორგანიზაციულ ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო და საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტით არ დგინდება სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, ასევე კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებები (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები).

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტით დადებით ფინანსურ შედეგებს გამოიწვევს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება შესაბამის ბიუჯეტში შესატანი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელი (ფულადი შენატანი).

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან: გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ)კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდა საკონსულტაციო ჯგუფი.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

ვალერიან გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდული კავშირი (დირექტორი ნინო გუნია-კუზნეცოვა)

* პროექტი*

საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №75, 27.12.2010, მუხ. 461) **მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

“3. დასაქმებული არის ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დამსაქმებლისათვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს და ხელოვანთა სტატუსის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული თვითდასაქმებული ხელოვანი.”

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

განმარტებითი ბარათი საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე
„საქართველოს შრომის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონის პროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:
ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კანონპროექტის მომზადების აუცილებლობა განპირობებულია ხელოვანთა შესახებ საქართველოს კანონის პროექტის მიღებით, სადაც გათვალისწინებულია, რომ შრომის უფლებები მათ შორის ვრცელდება თვითდასაქმებულ ხელოვანზე.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღებით, შრომის კოდექსის მოქმედება გარდა დასაქმებული პირებისა, გავრცელდება ხელოვანთა სტატუსის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ თვითდასაქმებულ ხელოვანზე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით ცვლილება ხორციელდება ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში, სადაც ახლებურად ყალიბდება დასაქმებული პირის დეფინიცია და ემატება თვითდასაქმებული ხელოვანი.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონის ამოქმედების ვადად განსაზღვრულია 2026 წლის პირველი იანვარი, ვინაიდან მიზანშეწონილია შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოების გაწევა.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს, რამეთუ მოცემული კანონპროექტის მიზანია, მხოლოდ დაფუძნების აქტის დონის განსაზღვრა (ცვლილება), რაც ორგანიზაციულ-ტექნიკური ნაწილია და არ უკავშირდება დაფინანსების წყაროს, არც შიდა ორგანიზაციულ ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო და საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტით არ დგინდება სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, ასევე კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებები (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები).

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტით არ იწვევს ფინანსური შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება შესაბამის ბიუჯეტში შესატანი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელი (ფულადი შენატანი).

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან: გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ)კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება

რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
კანონპროექტის მომზადებაში მონაწილეობდა საკონსულტაციო ჯგუფი.
დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.
დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.
ე) კანონპროექტის ავტორი:
ვალერიან გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდული კავშირი (დირექტორი ნინო გუნია-კუზნეცოვა)